შპს ბათუმის პროფესიული აკადემია

დანართი №2
დამტკიცებულია:
შპს „ბათუმის პროფესიული აკადემიის“
დირექტორის 2026 წლის 15 მაისის ბრძანება №-25-ით

ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ინსტრუქცია

1. ეს ინსტრუქცია არეგულირებს შპს ბათუმის პროფესიულ აკადემიის (შემდგომში აკადემია) ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ზოგად და ტექნიკურ წესებს.
2. წესების დაცვა ევალება ყველა ლაბორატორიაში მომუშავე პირს.
3. ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტის მუშაობა დასაშვებია მხოლოდ ხალათით და პროფესიული მასწავლებლის ნებართვით/მეთვალყურეობით.
4. აკრძალულია რექტივების გამოყენება უეტიკიტო ჭურჭლიდან.
5. არ შეიძლება რექტივების ჭურჭელში გამოუყენებელი ნივთიერების დაბრუნება.
6. აკრძალულია ჩართული დანადგარების უყურადღებოდ მიტოვება.
7. დაუშვებელია ლაბორატორიაში საკვების და სასმელის მიღება.
8. დაუშვებელია სამუშაო მდგომარეობაში ყოფნისას ხელების სახესა და თვალებთან შეხება.
9. ცდის ჩატარებისას, კანზე შემთხვევით რომელიმე ნივთიერების მოხვედრისას,საჭიროა დაუყონებლივ საპნიანი წყლით ჩამობანა.
10. აკრძალულია სპირტქურასთან ახლოს ადვილად აალებადი ნივთიერებების მოთავსება.
11. აკრძალილია ქიმიური ნივთიერებების გემოს გასინჯვა.
12. ნივთიერებების დაყნოსვა შეიძლება იმ შემთხვევაში თუ დარწმუნებული ხართ,რომ ნაერთი არ არის მომწავლელი ან შხამიანი.ამასთან არ შეიძლება პირდაპირ შესუნთქვა,არამედ საჭიროა ხელის მოძრაობით მივიტანით ორთქლი სასუნთქ ორგანომდე. დაუშვებელია ნივთიერებების კანთან შეხება.
13. მჟავეების და ტუტეების ჩამოსხმა უნდა ხდებოდეს გამწოვ კარადაში,დამცავი სათვალით. ყოველი ცდის ჩატარების შემდეგ საჭიროა გამოყენებული ჭურჭლის გარეცხვა.
14. არ შეიძლება ცდის მსვლელობისას გახურებული ჭურჭლის შენახვამის გაცივებამდე. ნარჩენები ,მათი თვისებების გათვალისწინებით,უნდა შეგროვდეს სპეციალურად გამოყოფილ ურნაში.
15. მუშაობის დამთავრების შემდეგ უნდა გამოირთოს ელექტროენერგია,გადაიკეტოს ონკანი და გაზი.
16. ყველა ჭურჭელზე, რომელშიც რეაქტივი ინახება ,უნდა ეწეროს ზუსტი დასახელება.

ლაბორატორიაში ქცევის წესები

ლაბორატორიაში, ქიმიური ჭურჭლის გამოყენებისას აუცილებელია გამოვიყენოთ

შემდეგი წესების დაცვა:

1. დიდი ქიმიური ჭურჭელის გამოყენებისას,საჭიროა ორივე ხელის მოკიდება,ამასთან ერთი ხელი უნდა მოვკიდოთ ჭურჭლის ძირას.
2. ქიმიურ ჭურჭელთან, რომელშიც რაიმე ხსნარი დუღს, ან საჭიროა რაიმე ხსნარის დამატება, არ შეიძლება სახის ახლოს მიტანა.

3. სინჯარის პირი, რომელშიც ხდება რაიმე სითხის გაცხელება, არ უნდა იყოს მიმართული ვინმეს მიმართ.

4. სქელკედლიანი ქიმიური ჭურჭელი არ უნდა ცხელდებოდეს ღია ცეცხლზე, არამედ უნდა იყოს ამისათვის გამოყენებული წყლის აბაზანა. ამ დროს ყურადღება უნდა მიექცეს სითხის თანაბარ რაოდენობას,რადგანაც არ მოხდეს გაცხელების დროს სითხის გაშხეფება და ჭურჭლის გაბზარვა.

5. ასაღებად უნდა იქნას გამოყენებული მშრალი პინცეტი და მაშა.

6. ტუტე ლითონების დაჭრა უნდა ხდებოდეს, მშრალი ფილტრის ქაღალდზე უშუალოდ გამოყენების წინ.

7. მუშაობის დასრულების შემდეგ ქაღალდი უნდა გაირეცხოს გამდინარე წყლით და მოთავსდეს ნაგვის ურნაში.

8. ადვილად აალებად სითხეებთან მუშაობის დაწყებამდე უნდა შემოწმდეს:

8.1. მუშაობს თუ არა ვენტილაცია;
8.2. არის თუ არა ადგილზე ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
8.3.გამართულია თუ არა განათება;
8.4. ხომ არ არის ჩართული, გაზი ან ელექტროგამათბობელი მოწყობილობა;
8.5. არის თუ არა, სამედიცინო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
8.6. პროფესიული სტუდენტი, შემოსილი უნდა იყოს, დამცავი სათვალით, რეზინის ხელთათმანით და ხალათით;
8.7.მუშაობის დასრულების შემდეგ
ა) სამუშაო ჭურჭელი უნდა გაირეცხოს დაუყონებლივ,
ბ) გამოირთოს ელექტროენერგია,
გ) დაიკეტოს წყლის ოკანი და გაზი,
დ) პროფესიული სტუდენტი ვალდებულია წესრიგში მოიყვანოს სამუშაო მაგიდა, გარეცხოს და გაასუფთავოს ცდის დროს გამოყენებული ხელსაწყოები და ჭურჭელი შეინახოს სათანადო ადგილას;
8.8. სტუდენტი ვალდებულია გაუფრთხილდეს ლაბორატორიის ქონებას,დაუდევრობით არ გააფუჭოს ლაბორატორიული ინვენტარი.

5. ასაღებად უნდა იქნას გამოყენებული მშრალი პინცეტი და მაშა.
6. ტუტე ლითონების დაჭრა უნდა ხდებოდეს, მშრალი ფილტრის ქაღალდზე უშუალოდ გამოყენების წინ.
7. მუშაობის დასრულების შემდეგ ქაღალდი უნდა გაირეცხოს გამდინარე წყლით და მოთავსდეს ნაგვის ურნაში.
8. ადვილად აალებად სითხეებთან მუშაობის დაწყებამდე უნდა შემოწმდეს:

- მუშაობს თუ არა ვენტილაცია.
- არის თუ არა ადგილზე ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.
- გამართულია თუ არა განათება.
- ხომ არ არის ჩართული, გაზი ან ელექტროგამათბობელი მოწყობილობა.
- არის თუ არა, სამედიცინო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.
- პროფესიული სტუდენტი, შემოსილი უნდა იყოს, დამცავი სათვალით,რეზინის ხელთათმანით და ხალათით.
- მუშაობის დასრულების შემდეგ,სამუშაო ჭურჭელი უნდა გაირეცხოს დაუყონებლივ.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ უნდა გამოირთოს ელექტროენერგია,დაიკეტოს წყლის ოკანი და გაზი.
- მუშაობის დასრულების შემდეგ ,პროფესიული სტუდენტი ვალდებულია წესრიგში მოიყვანოს სამუშაო მაგიდა,გარეცხოს და გაასუფთავოს ცდის დროს გამოყენებულიუ ხელსაწყოები და ჭურჭელი.შეინახოს ისინი სათანადო ადგილას.
- სტუდენტი ვალდებულია გაუფრთხილდეს ლაბორატორიის ქონებას,დაუდევრობიტ არ გააფუჭოს ლაბორატორიული ინვენტარი.